სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სანდრო გიორგაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**14**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**15**	**20**
წერის უნარი	**15**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**13**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**10**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**3**	**5**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**73**	**100**

თარიღი : 17.09.2024

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სანდრო გიორგაშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით საქართველოს საერთო სასამართლოებში 18 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით დაწყებული კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ სანდრო გიორგაშვილის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u>** <u>საქართველოს სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:</u> **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მისი სიმართლისმოყვარეობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. სანდრო გიორგაშვილის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის (რამოდენიმე დარღვევა) დაკისრებული ჯარიმები კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. სანდრო გიორგაშვილს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ კანდიდატის პასუხისმგებლობის გრძნობას, კომუნიკაბელურობას, შრომისმოყვარეობას, კოლეგიალურობას, გულისხმიერებას, საქმისადმი ერთგულებას, პრინციპულობას და ა.შ. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის სტატუსს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც პოლიტიკური

		ნიშნით ნეიტრალურ, დამოუკიდებელ, პრინციპულ, მიუკერძოებელ, შეუვალ და ზეგავლენებისადმი მედეგ პიროვნებას. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. თუმცა, მოძიებული ინფორმაციის თანახმად 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე კანდიდატი სანდრო გიორგაშვილი ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილ იქნა ცხრა პარტიისგან შემდგარი ოპოზიციური ბლოკის მიერ. მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და საჯარო მოსმენის პროცესში, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისას (ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში). საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სანდრო გიორგაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. სასამართლო დავის მხარე არ ყოფილა. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის თავდაჭერილი, კორექტული, აქვს დახმარების, ადამიანური თანადგომის კარგი თვისება. ამავდროულად, გამოარჩევენ საქმიანობისას მის მოტივირებულობას, ენერგიულობას, ორგანიზებული და ნაყოფიერი მუშაობის უნარს. ერთი რეკომენდატორი მის სისუსტედ მიუთითებს „ზოგიერთ შემთხვევაში

		გადაჭარბებულ ლმობიერებას“. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. პროფესიულ წრეში სარგებლობს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით. კანდიდატი პერიოდულად მონაწილეობს სხვადასხვა საკითხებზე გამართულ შეხვედრებში/სემინარებში, რაც დადებითად აისახება მის პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციაზე. სანდრო გიორგაშვილთან დაკავშირებით ინტერნეტში იძებნება ინფორმაცია მისი მოსამართლეობის კანდიდატობის, საპროკურორო საქმიანობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობის შესახებ. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს. **5. ფინანსური ვალდებულებები** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ან ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა რაიმე საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

			მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, სანდრო გიორგაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით:
მახასიათებელი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად იცნობს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ცოდნის დამაკმაყოფილებელი დონე. უმეტეს სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატმა ვერ გასცა სრული და

			ზუსტი პასუხები. ხოლო საერთაშორისო სამართლებრივ კითხვებს ვერ უპასუხა. ჩემის აზრით, მისი ცოდნა შედარებით უფრო თვალსაჩინოა სისხლის სამართლის სფეროში, რაც დასტურდება გასაუბრების პროცესში მის მიერ გაცემული პასუხებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. საჯარო მოსმენისას მიღებული მთაბეჭდილება. სანდრო გიორგაშვილთან გამართული საჯარო მოსმენისას კანდიდატს გაუჭირდა არგუმენტირებულად, თანმიმდევრულად და ამომწურავად განეცითარებინა სამართლებრივი მსჯელობა სამართლის სხვადასხვა დარგიდან დასმულ საკითხებზე. შედარებით ვრცელი და აზრობრივად გამართული იყო სისხლის სამართლის სფეროდან დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმის გათვალისწინებით გადაწყვეტილებები სათანადოდაა დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას შეუძლია საფუძვლიანი და დამაჯერებელი მსჯელობა წერილობით. სანდრო გიორგაშვილს აქვს 11 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება სხვადასხვა (სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის) მიმართულებით. საჯარო მოსმენის შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატს ცალკეულ საკითხებზე უჭირს, ნათლად გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და განავითაროს დასაბუთებული მსჯელობა საჭირო მიმართულებით. თუმცა, წერილობითი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას ზოგადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი.
წერის უნარი	15	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი და სხვა.

			შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმის გათვალისწინებით ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი წერილობითი მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, გამართულია გრამატიკულად და სტილისტურად.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღებლობის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	10	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის ორგანიზებული, შრომისმოყვარე, საქმის ერთგული პროფესიონალი. მიაჩნიათ, რომ შეუძლია სტრესულ სიტუაციაში გამართული მუშაობა და აქვს სათანადო მენეჯერული უნარ-ჩვევები. ვინაიდან, კანდიდატი სამოსამართლო უფლებამოსილებას აღარ ახორციელებს 2004 წლის შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს სანდრო გიორგაშვილის საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები და ასევე ქცევა სასამართლო დარბაზში. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მბარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და	3	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად

პროფესიული წვრთნა			გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. სანდრო გიორგაშვილი ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2014 წლის 27 სექტემბერი).
პროფესიული აქტივობა	3	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სანდრო გიორგაშვილი პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა მიიღოს ახალი, მისთვის აუცილებელი ცოდნა და საჭირო ინფორმაცია.
ქულათა ჯამი	73	100	

თარიღი : 17.09.2024

ლევან მურუსიძე